Fair Trees Fund

Make Christmas Trees Fair Trees, protecting people and forest

13.12.2023

საპროექტო იდეის წარმდგენი	ფეა თრიიზ ფაუნდეიშენ
საკონტაქტო პირი	ნინო იაშვილი ფეა თრიიზ ბავშვთა სტომატოლოგიური კლინიკის დირექტორი (+995) 599 623788 ელ-ფოსტა: ninoiashvili19@yahoo.com
პროექტის სახელწოდება	ბავშვთა სტომატოლოგიური კლინიკა ქ. ონში
პროექტის მოკლე აღწერა	პროექტი მოიცავს ქალაქ ონში, სიმონ სხირტლაძის სახელობის საჯარო სკოლაში, ბავშვთა სტომატოლოგიური კლინიკის მოწყობას, აღჭურვას და გახსნას. კლინიკა უფასოდ მოემსახურება ონის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 2-18 წლის ბავშვებს და მოზარდებს. კლინიკა, საწყის ეტაპზე, პაციენტებს შესთავაზებს თერაპიულ და ქირურგიულ მომსახურებას. კლინიკას მოემსახურებიან ექიმი-სტომატოლოგი, ასისტენტი და დამლაგებელი.

საჭიროების დასაბუთება	ონის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ბავშვებს და მოზარდებს შეზღუდული აქვთ წვდომა სტომატოლოგიურ სერვისებთან. ერთის მხრივ, ეს განპირობებულია რეგიონში არსებული მცირე რაოდენობის კლინიკებით და მკურნალობის დაბალი ხარისხით, მეორეს მხრივ, სერვისის მიღების მაღალი ფასებით, რომელის გადახდაც იმდენად რთულია ოჯახებისთვის, რომ ხშირად ურჩევნიათ სრულიად უარი თქვან მსგავსი მომსახურების მიღებაზე. არასათანადოდ მოვლილი და დაავადებული პირის ღრუ უარყოფითად აისახება ბავშვების და მოზარდების ყოველდღიურ ცხოვრებაზე, მათ პროდუქტიულობაზე, თვითშეფასებაზე და აკადემიურ მოსწრებაზე ვინაიდან დაავადებული პირის ღრუს შედეგი ძირითადად გაუსაძლისი ტკივილი და სრულფასოვანი კვების უუნარობაა. ფეა თრიიზ ფონდის პირველი ბავშვთა სტომატოლოგიური კლინიკა წარმატებით ფუნქციონირებს ქალაქ ამბროლაურში 2016 წლიდან და უფასოდ ემსახურება მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ბავშვებს და მოზარდებს. კლინიკა საშუალოდ 300 სამედიცინო ჩარევას ახორციელებს ყოველ თვეში და ეს მოთხოვნა მზარდია. ქ. ამბროლაურში არსებული ფეა თრიიზ ბავშვთა სტომატოლოგიური კლინიკა ღიაა ონის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისთვის და მოზარდებისთვის. თუმცა, ჩვენი მონიტორინგი აჩვენებს, რომ მიუხედავად კლინიკის ცნობადობისა და მაღალი მოთხოვნისა, ონის მუნიციპალიტეტიდან პაციენტების რიცხვი ძალიან დაბალია. ამის მიზეზები მრავალმხრივია. ერთის მხრივ, ეს გამოწვეულია საზოგადოებრივი ტრანსპორტის ნაკლებობით, რომელიც პაციენტებისთვის ამბროლაურში სასურველ დროს ჩასვლას და უკან დაბრუნებას შესაძლებელს გახდიდა. მეორეს მხრივ, მაძილის გამო, მშბელს უწევს მოწყდეს თავის სამუშაო ადგილს და საქმიანობას იმისთვის, რომ ბავშვი ატაროს ამბროლაურში სამკურნალოდ. ვინაიდან, სამიზნე ჯგუფი სკოლის მოსწავლეებისგან შედგება, ასევე მოსწავლეებს უწევთ გაკვეთილების გაცდენა იმისთვის, რომ კლინიკის სამუშაო საათებში შეძლონ ამბროლაურში ჩასვლა. ეს ძირითადი ფაქტორები შეუძლებელს ხდის ონის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისთვის სტომატოლოგიური მომსახურების მისაღებად ამბროლაურში სიარულს და შესაბამისად ისინი ვერ სარგებლობენ არნიშნული სერვისით. აქედან გამომდინარე, დგას საჭიროება ანალოგიური, უფასო ბავშვთა სტოატოლოგიური კლინიკის ქალაქ ონში გახსნის.
პროექტის მიზნები	უფასო სტომატოლოგიური მომსახურების გაწევა ონის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ყველა 2-დან 18 წლამდე ბავშვისთვის და მოზარდისთვის. კლინიკას ასევე ექნება გვერდითი დადებითი ეფექტები ადგილობრივი მოსახლეობისთვის: • სტომატოლოგთან რეგულარური ვიზიტის შედეგად, ბავშები და მოზარდები მიიღებენ დროულ სტომატოლოგიურ დახმარებას და თავიდან აირიდებენ შესაძლო გართულებებს და ტკივილს.

	• ბავშვების ყოველდღიურობა და პროდუქტიულობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება ვინაიდან აღარ ექნებათ პირის ღრუს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები და ტკივილი. • მშობლები თითქმის სრულიად დაზოგავენ დროს და ფინანსებს, რომელიც უნდა დაეხარჯათ შვილების სხვა რეგიონში წასაყვანად და მათთვის სტომატოლოგიური მომსახურების მისაღებად.
აქტივობები	პროექტის განხორციელებისთვის ფეა თრიიზ ფონდს ესაჭიროება მჭიდრო თანამშრომლობა ონის მუნიციპალიტეტთან თანადაფინანსებისთვის და ასევე, სიმონ სხირტლაძის სახელობის საჯარო სკოლის ადმინისტრაციასთან კლინიკისთვის ფართის გამოყოფისთვის. დაინტერესებულ მხარეებს შორის გაფორმებული უნდა იქნას უნრთიერთანამშრომლობის მემორანდუმი. ამის შემდეგ განსახორციელებელი იქნება შემდეგი აქტივობები: 1. კლინიკისთვის გამოყოფილი ფართის სტომატოლოგიური კლინიკის ზოგად სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა. 2. კლინიკისთვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობის შეძენა და მონტაჟი.

ვადები და ბიუჯეტი	
პროექტის მომზადების ეტაპები	1. გაფორმდება ურთიერთანამშომლობის მემურანდუმი პროექტში ჩართულ მხარეებს შორის. 2. ონის საჯარო სკოლაში გამოყოფილი იქნება კლინიკისთვის შესაბამისი ფართი 3. ონის მუნიციპალიტეტი ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფს საჭირო თანხას და უზრუნველყოფს კლინიკისთვის გამოყოფილი ფართის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას და მის ტექნიკურ აღჭურვას. 4. ფეა თრიიზ ფონდი უზრუნველყოფს კლინიკის სამუშაო კადრებით დაკომპლექტებას და რეგულარულად გამოყოფს მისი გრძელვადიანი ფუნქციონირებისთვის საჭირო ფინანსურ რესურსებს (თანამშრომლების ხელფასები, მკურნალობისთვის საჭრო მასალის შეძენა).
განხორციელების ვადა	• კლინიკის მოწყობა-აღჭურვა: 2024 წლის იანვარი - 2024 წლის აპრილი (შეიძლება შეცვლილი იქნას ონის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საჭიროებების მიხედვით) • სრულიად სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანილი და არჭურვილი კლინიკა ფუნქციონირებას დაიწყებს მაშინვე, როგორც კი მოიპოვებს ფუნქციონირების ნებართვას რეგულირების სააგენტოსგან.
ბიუჯეტი ლარში (სავარაუდო)	• ფართის კლინიკის სტარდატების შესაბამისობაში მოყვანა: 15.000,00 (წინასწარი გათვლისთვის გამოყენებულია ამბროლაურში არსებული ანალოგიური სტომატოლოგიური კლინიკის პროექტის ბიუჯეტი) • კლინიკისთვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობის შეძენა: 38.336,00 • ტექნიკური აღჭურვილობის მონტაჟი: 700,00 • ავეჯი: 2.500,00 **სულ: 56.536,00**
დაფინანსების წყაროები	ონის მუნიციპალიტეტი

პასუხისმგებლობები	
პროექტის განხორციელების პროცესში	ქ. ონის სიმონ სხირტლაძის სახელობის საჯარო სკოლის ადმინისტრაციის მმართველობა უზრუნველყოფს სტომატოლიგიური კლინიკისთვის საჭირო ფართის გამოყოფას და დათმობას კლინიკისთვის საჭრო საქმიანობის განხორციელებისთვის გრძელვადიანად. ონის მუნიციპალიტეტი გამოყოფს ერთჯერადად თანხას და უზრუნველყოფს ბავშვთა სტომატოლოგიური კლინიკისთვის სკოლის მიერ გამოყოფილი ფართის სტომატოლოგიური კლინიკებისთვის ზოგადად დაწესებულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას. ონის მუნიციპალიტეტი ასევე ერთჯერადად ფინანსურად უზრუნველყოფს კლინიკისთვის საჭირო აღჭურვილობის შეძენას და მონტაჟს.

პასუხისმგებლობები	
პროექტის განხორციელების შემდეგ	ფეა თრიიზ ფონდი პასუხისმგებელია სტომატოლოგიური კლინიკის გრძელვადიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფაზე. ფონდი იღებს ვალდებულებას დაფაროს კლინიკაში დასაქმებულების ხელფასების ხარჯები, ასევე ის ხარჯები, რომლებიც წარმოიქმნება მომსახურების გაწევისთვის საჭირო მასალების შეძენისას.

თეონა დარჩია

ფეა თრიიზ ფონდის ადგილობრივი თანაშემწე
(+995) 551 101680
(+49) 1573 7971507
teona@fairtreesfund.dk

Fair Trees®
et Fair Trade-juletræ

replanting new fair trees